

ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაუფლება დაწყებით კლასებში

ნესტან გიგაშვილი, მარიკა კვიციანი, დარეჯან მაჭარაშვილი, ნინო ქიმერიძე,
ინგა ხუციშვილი
ქ. თბილისის #82 საჯარო სკოლის პედაგოგი

რეზიუმე

თანამედროვე სამყაროში ჯანსაღი საკვების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. სასურველია, მოსწავლემ ცოდნა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, დაწყებით საფეხურზევე განიმტკიცოს, რათა მომავალი თაობა აღიზარდოს ჯანმრთელი და ენერგიული.

სწორედამან განაპირობა სწავლა-სწავლების პროცესში სასარგებლო შემთავსებინა სასარგებლოსთან. თანამედროვე მეთოდებით გაკვეთილების ჩატარების ჩემულმა გამოცდილებამ დამარწმუნა იმაში, რომ სასწავლო პროცესი არის მეტად სახალისო, საინტერესო, პრაქტიკული და ინოვაციური.

საკვანძო სიტყვები: დაწყებითი განათლება, ინოვაციური მეთოდი, ჯანსაღი საკვები

სასწავლო პროცესის დაგეგმვა 21-ე საუკუნისთვის აქტუალური ისეთი უნარების მრავალმხრივ განვითარება სუფიქს ხელს, როგორცაა ცოდნის კონსტრუირება, სწავლის პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, პრობლემის გადაწყვეტა და ინოვაციურობა, თვითრეგულირება და ეფექტური კომუნიკაცია.

ხშირად სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისგან მოითხოვს, რომ ისინი გასცდნენ შესწავლილ მასალას და ინტერპრეტირების, ანალიზის, სინთეზისა და შეფასების გზით შექმნან ცოდნა. თუ სამუშაო პროცესი ეხება საკლასო ოთახის მიღმა რეალურ სიტუაციებსა და მონაცემებს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ლოკალურ ან გლობალურ საზოგადოებებზე, სასურველია, აქტიურად ჩაერთონ, როგორც სხვა საგნისმასწავლებლები, ასევე მშობლები. მოსწავლეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ როგორც კლასელებთან, ასევე საკლასო ოთახს მიღმამოსწავლეებთან ან ზრდასრულ ადამიანებთან.

თანამედროვე მეთოდებით გაკვეთილების ჩატარების ჩემულმა გამოცდილებამ დამარწმუნა იმაში, რომ სასწავლო პროცესი არის მეტად სახალისო, საინტერესო და ინოვაციური. რაც დასაბუთებულად წარმოაჩენს მოსწავლის შესაძლებლობებს, მშობელთა მოტივაციას და მასწავლებლის პროფესიულ პრაქტიკაში მუდმივ განვითარებას. უწყვეტი განათლების მოდელს, პროფესიულ საზოგადოებაში მათ გამოკვეთილ ლიდერობას. ხელსუფლებს სხვა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას.

მეთოდები: სწავლა-სწავლების სამფაზიანი მოდელი:-A-გამოწვევა,B-შინაარსის რეალიზება, C-რეფლექსია, შეკითხვების დასმა, პროვოცირება(ინსცენირებული) „რაფთ“ სტრატეგია, ინოვაციური მეთოდები(ბუკის ტესტები, სმარტი, ინტერნეტსივრცე), როლური და დიდაქტიკური თამაშები, საგნობრივი ცოდნის ტრანსფერი.კეთებით სწავლების მეთოდი.

პროცესის მოკლე აღწერა: ადამიანისათვის თანმედროვე სამყაროში ჯანსაღი საკვების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია.სწორედ ამან განაპირობა ინოვაციური მეთოდების გამოყენებითგაკვეთილის ჩატარება, რომელშიც გამოყენებულია:ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საგნობრივი ცოდნის ტრანსფერი,ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაოები და მშობელთა ჩართულობა.

განისაზღვრა მოლოდინები. გააქტიურდა შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნა და გამოცდილება.დაფაზე მომზადდა შეფასების სქემა.სმარტდაფაზე გამოჩნდა სლაიდი „ჯანსაღი საკვები“.მოსწავლეებმა გაიხსენეს , რომ არსებობს ჯანსაღი საკვების ორი ტიპი: მცენარეული (ბოსტნეული,მარცვლეული,ხილი) და ცხოველური(ხორცი და რძის პროდუქტები). სმარტდაფაზე გამოჩნდა კვების პირამიდა. მოსწავლეები გაეცნენ მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან საკვების რიგს.პოზიტიური განწყობისათვის გამოვიყენე მაპროვოცირებელი მინი სპექტაკლი“პინოქიო“, რომელშიც მონაწილეობდა ერთი მშობელი და ერთი მოსწავლე. პაპა კარლო დაეძებდაპინოქიოს, რომელმაც შემთხვევით, კლასში არსებული ბუხრის უკან აღმოაჩინაზარდახშა, რომლის გასახსნელად საჭირო იყო ხუთი გასაღები.რომელიც ბავშვებმა სწორად შეასრულებული დავალებებით უნდა მოეპოვებინათ. პინოქიოც მათთან ერთად დარჩა დადაიწყო სწავლა.

კლასში არის 25 მოსწავლე, გაითვლეს პირველ-მეხუთეზე და დასხდნენ ჯგუფებად.

დავალება 1) თამაში-„რომელი საკვები გავსინჯე?“იმისთვის რომ ჯგუფს მიენიჭოს სახელი, თითოეული ჯგუფიდან თითო წარმომადგენელს მშობელმა აუხვია თვალები და გაასინჯა რაღაც პროდუქტი. მათ შემლეს იმის დასახელება, რომელი პროდუქტი გასინჯეს და მათ ჯგუფს ის სახელი მიენიჭა.

დავალება 2. ამის შემდეგ მუშაობა დაიწყო სმარტ დაფაზე . მოსწავლეებმა შემლეს მცენარეულიდა ცხოველური საკვების კლასიფიკაციას.

დავალება 3. თამაში-“ სტუმრად მაღაზიაში“ თამაშის პირობა ასეთი იყო , მაგიდაზე ეწყო :

ბოსტნეულის , ხილის, მარცვლეულის, რძისა და ხორცის პროდუქტები. ჯგუფების წარმომადგენლებს უნდა შეეძინათ ის პროდუქტის, რომლის სახელიც მათ ჯგუფს ჰქვია. მათ მოახდინეს პროდუქტის კლასიფიკაცია.

დავალება 4. (ტესტი)-„სტუმრად ფერმასა და ბოსტანში“-ჯგუფური სამუშაო

დავალება5:ინდივიდუალური მუშაობა ბუკებზე. მოსწავლეებს გადავუგზავნე ტესტი,ბავშვებმა უპასუხეს 10 შეკითხვას , თითოეულს 3 სავარაუდო პასუხი ჰქონდა. 10 წუთის შემდეგ უკან დააბრუნეს შესრულებული სამუშაო.სანამ მოსწავლეები ტესტზე

მუშაობდნენ, ჯგუფების მიერ შესრულებული მე-4 დავალება გასწორდა. ამ დავალების ქულაც დაემატება დაფას.

როცა ბავშვებმა დაასრულეს ბუკზე მუშაობა, მოხდა ტესტის ანალიზი.

დავალება 6. მოსწავლეებმა სმარტდაფის დახმარებით შეძლეს მცენარეული და ცხოველური საკვების კლასიფიკაციას. შემდეგ დაასახელეს საკვების სახელები ინგლისურ ენაზე.

დავალება 7. მოსწავლეებმა ინტერნეტ სივრციდან მოიპოვეს ინფორმაციას ჯანსაღი საკვების შესახებ და აჯგუფურად გააკეთეს პრეზენტაცია.

დავალება 8. ამ დავალების შესრულებისთვის გამოყენებულია წერის "რაფტ" სტრატეგია. რომელიც ასევე აჯგუფურად შესრულდა, ბავშვები შევიდნენ როლში, აიღეს ინტერვიო სხვა საკვებისგან, მისწერეს წერილი ცხოველურ და მცენარეულ საკვებს, შეადგინეს პატარა ესე, შემდეგ გააკეთეს აჯგუფური პრეზენტაცია.

დავალება 9. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად სპეციალურ ტესტზე რომელიც კვებას ეხება.

დავალება 10. დავალების პირობა ასეთია: მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად უნდა შეძლონ, წინასწარ შეძენილი ინგრედიენტებით სხვადასხვა სალათის დამზადება. ეს დავალება წარმატებით შესრულდა და რადგან კლასში იყო 5 ჯგუფი, მოსწავლეებმა მოიპოვეს 5 გასაღები და პაპა კარლოსთან ერთად გახსნეს ჯადოსნური ყუთი, რომელშიც აღმოჩნდა ჯანსაღი კვების სერთიფიკატები და მან დააჯილდოვა ყველა მოსწავლე. საშინაო დავალება: "დაამზადეთ ბროშურები, თუ რა სარგებლობა მოაქვს ჯანსაღ საკვებს." გაკვეთილის შეჯამება გაანალიზდა გაკვეთილი. გაირკვა რა იყო საინტერესო და ახალი, რისი შესწავლა სურდათ. მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი კომენტარებით.

შედეგები და

ინდიკატორები: შეძლოს სხვადასხვა სიტუაციაში დიდაქტიკური თამაშით მიზანმიმართული ამოცანის გადაჭრა. სხვადასხვა ტიპის ინტელექტი სმქონე მოსწავლეებმა შეძლონ ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში ტრანსფერი.

ქართული: შეძლო სხვადასხვა სახის პრაგმატული ტექსტების სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მასზე დაყრდნობით ინფორმაციის მოძიება. (II/5)

შეძლო მცირე მოცულობის ტექსტის დამოუკიდებლად შედგენა ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით. (II/11)

ბუნება: ლოკალურ გარემოზე დაკვირვების შედეგად შეძლო ადამიანის შრომით მიღებული პროდუქტის კლასიფიკაცია და პრაქტიკული გამოყენება. (II/9)

ინგლისური: ზეპირმეტყველების უნარების განვითარება; (II/8)

ისტ -ი: შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენება. მოსწავლეებს გამოწვევის ფაზაში გაუღვივდათ, შესწავლილი საგნის, საკითხის თუ მოვლენის

ინტერესი, მეორეს მხრივ კი გააქტიურდათ წინარე ცოდნა. შინაარსის რეალიზებისას უმთავრესი გახდა პირველ ფაზაზე დაწყებული საქმიანობისათვის ხელისშეწყობა და გამოწვევის ეტაპზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნება. ძირითადი საკითხებისა და ქვესაკითხების გამოკვეთა. ინფორმაციის მოძიება, დამუშავება. გაკვეთილის შინაარსის დაკავშირება საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან.

რეფლექსიის დროს მოხდა მოსაწავლეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა. რა ისწავლეს? როგორ ისწავლეს? მოხდა ძირითადი იდეების შეჯამება, პიროვნული გამოხმაურება, მიღებული ცოდნის სარგებლიანობის განსაზღვრა, ახალი შეკითხვების ჩამოყალიბება, სასწავლო პროცესში საკუთარი მონაწილეობის შეფასება.

შეიქმნეს განწყობა, უპასუხეს დასმულ შეკითხვებს, იმსჯელეს საკითხის ირგვლივ, მოისმინეს თანაკლასელთა აზრი. ჩამოაყალიბეს შეხეულებები, გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები. გაითამაშეს ინსცენირება და დიდაქტიკური თამაში. დაახარისხეს შეძენილი ცოდნა, გამოიკვლიეს საკითხის მნიშვნელობა, გააანალიზეს, რატომ არის მნიშვნელოვანი, გამოიტანეს დასკვნები, დააკავშირეს მიღებულ ინფორმაცია ნასწავლთან. შექმნეს თხზულებები, ჩაერთვნენ ჯგუფურ მუშაობაში, განაზოგადეს შედეგი, ნასწავლი გამოიყენეს პრაქტიკაში. შესაბამისად, მშობელთა ჩართულობით მოხდა თანამშრომლობა მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის.

დასკვნა: სწავლების ეფექტური მეთოდების გამოყენება მოსწავლეს აძლევს: საკითხის განსაზღვრის, გაგების, ინტერპრეტაციის, შექმნის, კომუნიკაციის, გამოთვლის, ამა თუ იმ კონტექსტან დააკავშირებული მასალის გამოყენების შესაძლებლობას, რაც ასევე გულისხმობს საგნის სწავლების უწყვეტობას და ინდივიდის პოტენციალს, მიაღწიოს მიზნებს, გაიღრმავოს ცოდნა, აიმაღლოს შესაძლებლობები და სრულიად მოახდინოს საზოგადოებაში ინტეგრირება. უვითარდებათ :კომუნიკაციის ,დისკუსიის, წარმოსახვის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის ფლობის და ტრანცფერის უნარ-ჩვევა.

მშობლები უფრო თავდაჯერებულად და აქტიურად ჩაერთვნენ სკოლის ცხოვრებაში და გააანალიზეს თავიანთი როლი შვილის წარმატებასა და სკოლის წინსვლაში.

ასეთი გაკვეთილები დასაბუთებულად წარმოაჩინს მასწავლებლის პროფესიულ პრაქტიკაში მუდმივ განვითარებას. პროფესიულ საზოგადოებაში მათ გამოკვეთილ ლიდერობას. ხელს უწყობს სხვა მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, თანამშრომლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბლიამე, ბუნებისმეტყველება. მე2 კლასი
2. თ.მანჯავიძე, საუბრები ჯანსაღ კვებაზე
3. პაატა პაპავა, წიგნიერება
4. ინგლისური-პირველი დონე (English World –Mari Bowen, LuizHcking) Google.ge -ს საძიებო სისტემა;